



მცხეთა - მთიანეთის  
საინფორმაციო  
ცენტრი



17.12.2012 12:53

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
  - [პოლიტიკა](#)
  - [საზოგადოება](#)
  - [ადამიანის უფლებები](#)
  - [განათლება](#)
  - [ეკოლოგია](#)
  - [კულტურა](#)
  - [ეკონომიკა](#)
  - [ტექნოლოგიები](#)
  - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » სააპელაციო სასამართლომ „დარიალიჰესის“ საქმის განხილვა დაასრულა

# სააპელაციო სასამართლომ „დარიალიჰესის“ საქმის განხილვა დაასრულა

2012.12.14 | 16:13



3 people like this. Be the first of your friends.

0



Share



თბილისის სააპელაციო სასამართლომ „დარიალი ჰესის“ საქმის განხილვა დაასრულა. სასამართლო, გადაწყვეტილებას 19 დეკემბერს, 17:25 საათზე გამოაცხადებს.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ ითხოვს, სააპელაციო სასამართლომ გააუქმოს „დარიალი ჰესის“ მშენებლობაზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნა გარემოს დაცვის სამინისტრომ გასცა.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ „დარიალი ჰესთან“ დაკავშირებით კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოიპოვა. როგორც მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ორგანიზაციის წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილმა განუცხადა, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პირველი პროექტის მიხედვით, „დარიალი ჰესის“ სიმძლავრე 110-ის ნაცვლად 50 მეგავატი უნდა ყოფილიყო.

მისი თქმით, ორგანიზაციამ ასევე მოიპოვა ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მაშინდელ მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს წერდა, რომ სამინისტროს ხელშეკრულების გაფორმებზე უარი ეთქვა, რადგან „დარიალი ჰესი“ დაცულ ტერიტორიაზე ხვდებოდა. ორგანიზაციამ აღნიშნული დოკუმენტები დღევანდელ სასამართლო პროცესზე წარადგინა.

„დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ პირველი პროექტით, დარიალი ჰესის სიმძლავრე 50 მეგავატს შეადგენდა, უნდა ყოფილიყო საშუალო ჰესი და არა დიდი. ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსი მინისტრს მოხსენებით ბარათში უწერდა, რომ დაცულ ტერიტორიაზე ხვდებოდა რამდენიმე ჰესი, მათ შორის „დარიალი ჰესი“, ამიტომ სამინისტროს უარი უნდა ეთქვა ასეთი ხელშეკრულებების გაფორმებაზე. მიუხედავად ამისა, ორჯერ გაიზარდა „დარიალი ჰესის“ სიმძლავრე და 110 მეგავატი შეადგინა. ამასთან,

ამის შემდეგ გამოვიდა მთავრობის ფაქტობრივად დანაშაულებრივი განკარგულებები, რის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულებები ჰესის მშენებლობაზე. მთავრობის და ხეთაგურის მხრიდან ადგილი აქვს უფლებამოსილების გადამეტებას და კანონმდებლობის შეგნებულად დარღვევას იმის გამო, რომ დაცული ტერიტორიის შიგნით ჰესის მშენებლობაზე ნებართვა გასცეს,“ – აღნიშნა ირაკლი მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, გასულ კვირას, გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი განკარგულება, რომლის მიხედვითაც დაცული ტერიტორიების ნაწილი ჰესის მშენებლობისთვის „დარიალ ენერჯის“ უნდა გადაეცეს, უკანონოა.

„განკარგულება არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ არის გაცემული, მთავრობას არ ჰქონდა უფლება გადაწყვეტილება მიეღო იმის თაობაზე, უნდა გაკეთებულიყო თუ არა დაცულ ტერიტორიაზე ჰესი. ეს გადაწყვეტილება პარლამენტს უნდა მიეღო,“ – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი მაჭარაშვილმა.

„მწვანე ალტერნატივა“ ამ განკარგულების გაუქმებისთვის სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავს.

დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2011 წლის სექტემბერში დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის - 90%-ის მოქცევას ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ სადერივაციო გვირაბში. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზეზით, ყაზბეგის ეროვნული პარკის ნაწილს დაცული ტერიტორიის სტატუსი მოეხსნა.

გარემოსდამცველების შეფასებით, პროექტის განხორციელების შედეგად, სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე რადიკალურად შეიცვლება ლანდშაფტი და ხეობა დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობას. პროექტს ექნება შეუქცევადი ზეგავლენა მდინარეზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილ ნაკადულის კალმახზე და გამოიწვევს თერგში ამ პოპულაციის გაქრობას.

Like

3 people like this. Be the first of your friends.